

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
საჭიროებისათვის საშუალო განათლებასთან დაკავშირებული მომსახურებების (მათემატიკის
სწავლება) სახელმწიფო შესყიდვისთვის შექმნილი

სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმ ი №3

ქ. თბილისი

24.02.2012 წ.

სხდომას უძღვებოდა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ჟღენტი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის წევრები:

ალექსანდრე აპლაკოვი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
მინისტრის პირველი მოადგილე;

კახაბერ ჩხარტიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი;

ილონა გრიგოლია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის იურიდიული,
საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველოს უფროსი;

ვიანორ შელია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის მატერიალურ-
ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

სატენდერო აპარატის წევრები:

ლელა კიკალეიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი
სპეციალისტი.

მანანა ჭყეია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის საბიუჯეტო-საფინანსო
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ სამინისტროს (SPA 120005427) საჭიროებისათვის საშუალო განათლებასთან დაკავშირებული მომსახურებების (მათემატიკის სწავლება) გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების განხილვა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის გიორგი ჟღენტის გამოსვლა, რომელმაც სატენდერო კომისიას აცნობა, რომ ლუიზა შონიას მიერ 2012 წლის 24 თებერვალს წარმოდგენილ იქნა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ:

ა) პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

ა) დიპლომის ქსეროასლები;

ბ) ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატების ასლები;

დ) სასწავლო საგნის სილაბუსი.

განხილეს:

კომისიამ განიხილა ლუიზა შონიას მიერ წარმოდგენილი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები: აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემდგომ, არ შეიცავს არანაირ ხარვეზს და სრულად აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შემსყიდველის მოთხოვნებს.

დაადგინეს:

1. არსებული მონაცემების საფუძველზე, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდეს ლუიზა შონია.
2. ეცნობოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს და მოწვეულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.
3. სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-15 მუხლის საფუძველზე გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.


4. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს წინამდებარე ოქმის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე:

 /გ. ჯენტლი/

კომისის წევრები:

 /ა. აჰლაგოვი/

 /კ. ჩხარტიშვილი/

 /ი. გრიგოლია/

 /ვ. შელია/

კომისიის აპარატის წევრები:

 /ლ. კიკაღეიშვილი/

 /ბ. ჰვეია/